№ 235 — მთავრობის ორგანო — ყოველდღიური გაზეთი — წელიწადი მესამე

ფასი 10 მან. — კვირა, ოქტომბრის 17 1920 წ.

# საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით.

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 100 მ. წისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%, რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## მეცხვარეთა საყურადღებოდ.

მატყლის შეგროვება, შენახვა, მოვლა მინდობილი აქვს მეცხვარეთა კოოპერატიულ ამხანაგობას

## „მწყემსს"

რომლის საშუალებით მთავრობამ დაურიგა წინასწარი სესხი მეცხვარეთ.

ყოველი მეცხვარე, რომელმაც მატყლი ჩააბარა მთავრობას ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით, იმ ორი ათასი (2000) მანეთის გარდა, რომელსაც იღებს მთავრობისაგან მატყლის ადგილობრივად საფასურად, მიიღებს აგრეთვე წმინდა მოგების ნაწილს და მაშასადამე ის მატყლის საბოლოოდ განაღდებამდის ამ მატყლის პატრონად რჩება.

მატყლის განაღდებიდან მიღებული წმინდა მოგება განაწილდება შემდეგი წესით:

1) მეცხვარეობის გასაუმჯობესებელ თანხის შესაქმნელად (ფონდი) ერთი მეათედი მოგებისა ე. ი. 10 პროც.

2) მეცხვარეს—ამხანაგობა „მწყემსის" საშუალებით ოთხნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

3) სახელმწიფოს—მომარაგების სამინისტროს სახით ოთხ ნახევარი მეათედი ესე იგი 45 პროც.

შეგროვილი მატყლით უპირველესად დაკმაყოფილებულ იქნება რესპუბლიკის საშინაო მოთხოვნილება, მხოლოდ დანარჩენი მატყლი განაღდებულ იქნება საზღვარ გარეთის ბაზარზე.

926 10—9 **მომარაგების სამინისტრო.**

## განცხადება

1 ოქტომბერს, დაიწყო მოქმედება ტფილისში სამონოპოლიო მატყლის საწყობისა, საიდანაც მატყლი გაიყიდება ბითუმად.

სოფლებში და ქალაქებში მატყლის მომხმარებელზე წვრილად გაყიდვა შეუძლიათ

## მომხმარებელ კოოპერატივებს

და სადაც ამნაირები არ არიან—იქ **თემებს და სხ. საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.**

ზემო აღნიშნულმა ორგანიზაციებმა მატყლის შესაძენათ უნდა მიმართონ

## მომარაგების სამინისტროს,

რომლიდანაც, სრული საფასურის გადახდის შემდეგ, მიიღებენ ორდერს საწყობიდან მატყლის მისაღებათ.

**შენიშვნა:** რესპუბლიკის ყველა კოოპერატივები საჭირო მატყლს მიიღებენ „ცეკავშირისაგან", რომელიც მატყლს იღებს მომარაგების სამინისტროდან.

## მატყლის ყიდვა-გაყიდვა კერძო პირთაგან

## აკრძალულია

სახელმწიფოს საწყობში რესპუბლიკის შინაურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად მატყლი იყიდება შემდეგ. ფასებში:

**ა) საშუალო ღირსების გაურეცხავი მატყლი 4000 მ.**

**ბ) სუფთა—ახალგორის და სხვა რაიონების 4500 მ.**

**კოოპერატივები და სხვა ორგანიზაციები**

**ვალდებულნი არიან ადგილობრივ გაყიდონ მატყლი მომხმარებელზე: გადატანის ხარჯისა და 10 პროც. საორგანიზაციო ხარჯების დამატებით.**

ყოველივე მოქალაქეს (მომხმარებელს) უფლება აქვს თვალყური ადევნოს, რომ მატყლის გამყიდველმა ორგანიზაციამ გადასატანი ხარჯები გაზვიადებულად არ იანგარიშოს.

მატყლის გამყიდავი ორგანიზაციები ვალდებულნი არიან მატყლი თვით მომხმარებელს მიყიდონ და ნორმალურად გაანაწილონ მატყლი თავიანთ რაიონში.

**შენიშვნა:** სართავ-საქსოვი ფაბრიკები მატყლს მიიღებენ სამინისტროს საწყობიდან.

926 10—9 **მომარაგების სამინისტრო.**

**სახელმწ. თეატრი.**

## ოპერა.

**17 ოქტომბერს**

**ფაუსტი და ვალპურგიის ღამე**

მონაწილეობენ: სპრიშევსკაია, შელუდკოვსკაია, ზალიპსკი, თარხანო-მოურავი, საბინინი და სხვ.

**18 ოქტომბერს 1920 წ.**

**მეორე ბალეტის საღამო მიხეილ მორდკინისა.**

**19 ოქტომბერს** **გოფმანის ზღაპრები** | **20 ოქტომბერს** **მარგალიტის მაძიებელნი**

**21 ოქტომბერს** **მანონი.**

დასაწყისი სრულ $7^1/_2$ საათზე საღამოს.

**წარმოდგენის დროს შესვლა დარბაზში აკრძალულია.**

942 1—1 ოპერის დირექტორი **ს. ი. ევლახიშვილი.**

## საქართველოს სახელმწიფო ბანკის

## ბათომის განყოფილება

**იწყებს ოპერაციების წარმოებას ა/წ. 18 ოქტომბრიდან.**

948 1—1 სახელმწიფო ბანკის მმართველი **ი. ლორთქიფანიძე.**

## სახელმწიფო დრამის თეატრი

(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)

**სეზონი 1920—1921 წლისა**

კვირას, ოქტომბრის 17-ს.

## ოიდიპოს მეფე

ტრაგედია სოფოკლესი, თარგმანი კოსტან ანდრონისა.

შემსრულებელნი: სუზანა ბეჟანიშვილი, ბაბუცა გამრეკელი, ნინო გამრეკელი-თორელი, მიხეილ გელოვანი, ნინო დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, ალექსანდრე იმედაშვილი, პლატონ კორიშელი, არეთე ლოლუა, მიხეილ ლორთქიფანიძე, ანდრია მურუსიძე, მიხეილ სარაული, პავლე ფრანგიშვილი, თამარა ქავთარაძე, გოგია ფრონისპირელი, ელენე ციმაკურიძე, ანნა ჩხეიძე, თამარა ჭავჭავაძე, ჩემო ჯიქია.

**დასაწყისი საღ. $8^1/_2$ საათზე.** **რეჟისორი მ. ქორელი.**

**მოქმედების დროს დარბაზში შესვლა აკრძალულია**

**ანონსი:** სამშაბათს, ოქტომბრის 17-ს „**ოიდიპოს მეფე**" | ხუთშაბათს, ოქტომბრის 21-ს. „**ს ი ც რ უ ე**".

ბილეთები იყიდება დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდის და საღამოს 6 საათიდან 10 საათამდის.

936 1—1

## საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მთავარი სამმართველო ამით აცხადებს

ყოფილ რუსეთის წითელ ჯვრის საზოგადოების

## ნადეჟინის სახელობის თემის მოწყალების დათა საყურადღებოდ,

რომ ვინაიდან ნადეჟინის თემი გადავიდა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხელში, ამიტომ ხსენებულ თემის დებს ამათ ეძლევათ წინადადება: ვისაც სურს ჩარიცხვა საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების მოწყალე დათა თემში უნდა შემოიტანონ ამის შესახებ განცხადება წ. ჯ. კანცელარიაში (26 მაისს ქ. № 60) საქართველოში მყოფმა ა. წ. 1 ნოემბრამდე და საქართველოს გარეთ მყოფმა კი 1921 წ. 1 იანვრამდე.

3152 3—2

## სენაკის სამაზრო ერობის გამგეობა

ამით აცხადებს. რომ ამა 1920 წლის 30 ოქტომბერს დანიშნულია სამაზრო ერობის ხმოსანთა მეოთხე მორიგი ყრილობა. ყრილობა გაიხსნება ქ. სენაკში, გამგეობის დარბაზში, დილის 9 საათზე,

**გ ა ს ა რ ჩ ე ვ ი ა.**

1. განხილვა და დამტკიცება 1919 წლის ხარჯთა-აღრიცხვისა
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. გამგეობის თავმჯდომარის და წევრების არჩევნები.
4. კიწია-სალხინოს უბნის მომრიგებელ მოსამართლის არჩევა,
5. მიმდინარე საკითხები.

2973 3—3 სენაკის სამაზრო ერობის **გამგეობა.**

ოფიციალური განყოფილება.

# სახელმწიფო ბიუჯეტი 1919-1920 წლისა.

სახელმწიფო შემოსავალი 1919—20 წლისა.

| §§ | მუხ. | ხარჯის დანიშნულება | ნავარაუდევია მანეთი | კაპ. |
|---|---|---|---|---|
| 19 | | **სხვა სარწმუნოების სამღვდელოებას იმ მოვალეობათა შესრულებისათვის, რომელიც მათ დავალებული აქვთ სახელმწიფოს მიერ.** | | |
| | 1 | რომის-კათოლიკეთა | 18719 | |
| | 2 | ევანგელიურ-ლიუტერანთა | 2200 | |
| | 3 | სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო მმართველობის | 25380 | |
| | 4 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | 1400 | |
| | | მე-19-ე §-ის ჯამი | 47699 | |
| 20 | — | **შემფრდომებულ დაწესებულებათა შენახვა.** | | |
| | 1 | ალექსანდრეს სახელობის ბავშვთა თავშესაფარის პირადი შედგენილობის შენახვა | 6000 | |
| | 2 | მსახურთა ჯამაგირი და საკანცელარიო, სამეურნეო და სხ. ხარჯი | 79136 | 47 |
| | | საჭმელ-სასმელი | 312531 | |
| | | მე-20-ე §-ის ჯამი | 397667 | 47 |
| 21 | 1 | თვალის სამკურნალოს პირადი შემადგენლობის შენახვა | 75060 | |
| | 2 | თვალის სამკურნალოს უმცროს მოსამსახურეთა ჯამაგირი, გათბობა, განათება, წყლის მოწოდება, შენობის მოვლა, სამკურნალო და შესახვევი მასალის შეძენა და სხვა და სხვა ხარჯი | 56484 | |
| | 3 | საჭმელ-სასმელი | 58765 | |
| | | მე-21-ე § ის ჯამი | 190309 | |
| 22 | — | **საქართველოს დეპეშათა სააგენტო** | | |
| | 1 | პირადი შემადგენლობის შენახვა | 267898 | |
| | 2 | რადიო ტელეგრაფი | 120000 | |
| | 3 | მასალის შეძენა, საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი, გათბობა და განათება | 46500 | |
| | 4 | თანაშრომლებს | 18000 | |
| | | მე-22-ე § ის ჯამი | 452398 | |
| | | საერთო ნაწილის ხარჯის ჯამი | 143920255 | 40 |
| | | II. | | |
| 23 | — | **ფოსტის და ტელეგრაფის მმართველობა.** | | |
| | 1 | პირადი შემადგენლობა | 1682263 | |
| | 2 | მოსამსახურეთ ბინის დასაქირავებლად | 54360 | |
| | 3 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | 64622 | |
| | 4 | შენობების დაქირავება და მოვლა | 1500 | |
| | | მე-23-ე §-ის ჯამი | 1802745 | |
| 24 | — | **ადმინისტრაციის სხვა და სხვა ხარჯი.** | | |
| | 1 | საგზაო ხარჯი | 3000 | |
| | 2 | სალიკვიდაციო ხარჯი | 100000 | |
| | | მე 24-ე §-ის ჯამი | 103000 | |
| 25 | — | ადგილობრივი საფოსტო-სატელეგრაფო დაწესებულებანი: საფოსტო სატელეგრაფო, სატელეფონო და რკინის გზის საფოსტო სატელეგრაფო დაწესებულებათა შენახვა. | | |
| | 1 | პირადი შემადგენლობის შენახვა | 34835947 | |
| | 2 | ბინის დასაქირავებლად მოსამსახურეებს | 315791 | |
| | 3 | ინგლისური დეპეშის გადაცემისათვის დამატებითი გასამრჯელო | 2500 | |
| | 4 | სწრაფად მომქმედი მანქანით მუშაობისათვის დამატებითი გასამრჯელო | 7590 | |
| | 5 | საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი | 2165121 | |
| | | მე-25 §-ის ჯამი | 37326949 | |
| 26 | — | ბინის დაქირავება და შენობათა მოვლა | 190136 | |
| | | მე-26 §-ის ჯამი | 190136 | |
| 27 | — | საფოსტო ოპერაციების წარმოება რკინის გზის სადგურებსა და სასოფლო სამმართველოში | 40000 | |
| | | მე-27 §-ის ჯამი | 40000 | |
| 28 | — | საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო დაწეს. საგზაო ხარჯი | 50000 | |
| | 1 | უმცროს მოსამსახურეთა წამლობა | 2000 | |
| | | მე-28-ე §-ის ჯამი | 52000 | |
| 29 | — | ფოსტისა და დეპეშების გადაგზავნის ხარჯი | 1736489 | |
| | | მე-29-ე §-ის ჯამი | 1736489 | |
| 30 | — | **კორესპონდენციის გადაგზავნით გამოწვეული სხვა და სხვა ხარჯი.** | | |
| | 1 | სავანგებო შიკრიკთა ქირა, სატელეგრაფო და სატელეფონო სასყიდლის ანაზღაურება და სასამართლოს წერილების ჩაბარების ხარჯი | 10000 | |
| | 2 | დაკარგული წერილების სასყიდელი | 10000 | |
| | 3 | საფოსტო ვაგონების შეკეთება და სამგზავრო და საბარგო ვაგონებში საფოსტო განყოფილებათა მოწყობა | 4000 | |
| | | მე-30-ე §-ის ჯამი | 24000 | |
| 31 | | **სატელეგრაფო ქსელის გაბმა და შეკეთება.** | | |
| | 1 | ხაზის შეკეთება | 969000 | |
| | 2 | ტელეგრაფის და ტელეფონის ქსლისათვის საჭირო მასალისა და აპარატების შესაძენად | 6500000 | |
| | | მე-31-ე §-ის ჯამი | 7469000 | |

1920 წ. აგვისტოს 16-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **გრ. ლორთქიფანიძე.**


# ტფილისის ქალაქის გამგეობა

## აცხადებს

რომ ქალაქის ცენტრალურ საწყობში, რომელიც არის გამგეობის ეზოში, ათასა ათიდან დილისა

## დანიშნულია აუქციონი

ძველ ტანისამოსისა, საცვლეულებისა და აგრეთვე სხვა ძველ ნივთებისა.

946 2—1



# ტფილისის პოლიტეხნიკური სასწავლებელი

აცხადებს, რომ ა. წ. 29 ოქტომბერს დილის 10 საათზე დაიწყება გამოცდები

## ტეხნიკოსის ხარისხის მისაღებად

იმათთვის, ვისაც რკინის-გზის ტეხნიკური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ორი წლის სავალდებულო პრაქტიკა მოხდილი აქვს.

3190 3—1


**ქალაქ გორის გასაშენებლად თავისუფალ კერძო მიწების ჩამომრთმევ შერეულ კომისიისაგან**

# განცხადება

## ციხის-უბნელებისადმი.

ქალ. გორის გასაშენებლად თავისუფალ კერძო მიწების ჩამორთმევის დეკრეტის მეხუთე მუხლის თანახმად ციხის რაიონის ადგილები უნდა გადაეცეს ქალაქის თვითმართველობას საკუთრებად.

იმავე დეკრეტის მეექვსე მუხლის ძალით, ციხის რაიონის ადგილების პატრონებს, თუ მათ ქალაქ გორში სხვა დასასახლებელი ადგილი, ან სახლი არ მოეპოებათ, მიეცემათ ქალაქის სამოსახლო ნაწილში თითო ნაკვეთი მიწა (400 კ. საჟენამდის). აღნიშნულ ნაკვეთების დარიგება მოხდება ამა წლის ღვინობისთვის 25. ვისაც სურს მიწის ნაკვეთის მიღება და ეხლავე სახლის აშენება უნდა გამოცხადდეს ქალაქის თვითმართველობაში ღვინობისთვის 22-დე სათანადო საბუთებით, რომლებიც კი მას მოეპოება, თავის მამულის შესახებ.

ვინც აღნიშნულ ვადაზე არ გამოცხადდება და არ წარმოადგენს საბუთებს, შერეული კომისია იმოქმედებს მათ შესახებ თავის შეხედულებით.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ქალაქის თვითმართველობაში. მისამართი: ქ. გორი, ქალაქის თვითმართველობის ბინა.

13 ღვინობისთვე 1920 წ.

**შერეული კომისია.**

3190 3—1

არა ოფიციალური განყოფილება.

# შინაგ. საქმ. სამინისტროში.

## ცირკულიარული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამაზრო ერობების თვითმმართველობებს, ტფილისის მილიციის უფროსს და აფხაზეთის კომისარიატს შემდეგი ცირკულიარი გაუგზავნა. თანახმად მიმდინარე წლის ივნისის 8 № 11520 თარიღით გამოსულ ცირკულიარის შეცვლისა გაცნობებთ სახელმძღვანელოდ, რომ თანახმად შრომის სამინისტროს ამა წლის ოქტ. 6 № 8063 მომართვისა, პირველ საჭიროების საგნებზე ფასის მომატების გამო მუშებისა და მოსამსახურეთათვის არსდება შემდეგი საშუალო ხელფასი: ქალაქებში 6,000 მ., სოფლებში—4,800 მან.

# პირველი დამატებითი განმარტება

**ქალაქ გორის გასაშენებლად თავისუფალ კერძო მიწების ჩამორთმევის დეკრეტისა.**

შერეულ კომისიის წევრის მომართვის გამო, შესახებ კომისიის მოქმედების და დადგენილების განსაჩივრების წესისა, განვმარტავ შემდეგს:

შერეულ კომისიის მოქმედება და დადგენილებანი, გარდა ისეთებისა რომელიც განსაჩივრებას არ ექვემდებარება, შეიძლება განსაჩივრებულ იქნეს სათანადო სასამართლოში საერთო წესით. ვადა განსაჩივრებისა განისაზღვრება სამოქალაქო კანონებით.

კომიტეტის თავმჯდომარე იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

# მიწად-მოქმედების სამინისტროში

**სოფლის მეურნეობისათვის.**

ვინაიდან სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის საჭიროა სასოფლო მეურნეობის იარაღთა, გავრცელება და საწამლავ მასალების მოწოდება მცხოვრებლებისათვის მიწადმოქმედების სამინისტრომ მიანდო დახმარების სექციას გამოარკვიოს, თუ რამდენი საწამლავი მასალა და როგორი სისტემის იარაღებია საჭირო რესპუბლიკისთვის და ან როგორ უნდა მოეწყოს მათი საზღვარ-გარეთიდან გადმოტანა. ეს უკანასკნელი საკითხი უნდა შემუშავდეს შეთანხმებით იმ საზოგადო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო დაწესებულებებთან, რომელნიც თავის ინიციატივით იწერენ სამეურნეო იარაღებს საზღვარ-გარეთიდან.

**მებამბეობა საქართველოში.**

მიწად-მოქმედების სამინისტრომ სპეციალისტს ფარსადანოვს დაავალა, რომ მან წარმოადგინოს დაწვრილებითი მოხსენება: მებამბეობის ცდის საქმის დაყენების და მოწყობის შესახებ. ამსთანავე უნდა გამოარკვიოს, თუ როგორი დახმარება უნდა აღმოუჩინოს მიწად-მოქმედების სამინისტრომ იმ კერძო მესაკუთრეებს, რომელნიც მოისურვებენ მებამბეობის განვითარება-წარმოებას საქართველოში.

# შრომის სამინისტროში.

**კინემატოგრაფი „მინიონი"**

შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა მე-2 უბნის კომისარს გამოუცხადოს მან ხელწერილ ქვეშ კინემატოგრაფ „მინიონის" პატრონს მოქ. არამიანცს, რომ ვინაიდან მთავრობამ უარყო მისი შუამდგომლობა, წინადადება ეძლევა მას ერთი კვირის განმავლობაში გაანთავისუფლოს კინემატოგრაფის შენობა, რომელიც მუშათა სასახლის საჭიროებისათვის არის დანიშნული.

**შრომის პირობები.**

შრომის სამინისტრომ წინადადება მისცა ტფილისის შრომის კომისარს სასწრაფოდ გამოიკვლიოს პოლონეთ-საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო კავშირის აბრეშუმის საქსოვ. სახელოსნოებში არსებული შრომისა და წარმოების პირობები და გამოკვლევის შედეგები სატარიფო პალატას წარუდგინოს..

**სურსათ-სანოვაგის მიწოდება მუშებისათვის.**

შრომის სამინისტრომ ელექტრონზე მომუშავეთ აცნობა, რომ სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა, განიხილა რა კავშირის შუამდგომლობა კოლექტიურ ხელშეკრულების ზოგიერთ მუხლების შეცვლის შესახებ შემდეგი დადგენილება გამოიტანა: ტანსაცმელისა და ფეხსაცმელისთვის მუშები იღებენ 2,500 მან. ნახევარ წელიწადში ბინის, ქირას, ოჯახის პატრონი მუშები იღებენ 180 მ. უცოლშვილონი კი 160 მან. განათებას იღებენ, ან ნატურით-75 სანთლიან ლამფის სახით ან აღნიშნულ ლამფის საფასურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მომარაგების სამინისტროში

მომარაგების სამინისტრო განმარტებას იძლევა იმ განცხადების გამო, რომელიც მატყლის გაყიდვას შეეხებოდა; 1) რამდენ ორგანიზაციის ხელშიც არ უნდა გაიაროს მატყლმა,— მომხმარებელს იგი უნდა მიეყიდოს განცხადებულ ფასებზე 10%-ს და გადმოტანის ხარჯების დამატებით;

2) კოპერატივებმა როგორც თავის წევრებს, ისე არა წევრებს მატყლი ერთგვარ პირობებში უნდა მიყიდოს.

---

# დამფუძნებელ კრებაში

ოქტომბრის 15-ს, მდივნის თავმჯდომარეობით გაიხსნა დამფუძნებელი კრების შემოდგომის სესია. სხდომის გახსნისას შეტანილ იქნა წინადადება დამფუძნებელ კრების მუშაობის გადადების შესახებ, ვინაიდან სასახლის შეკეთება კიდევ არ დასრულებულა. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო ეს წინადადება და ამასთანავე პრეზიდიუმს დაავალა მოიწვიოს დამფუძნებელი კრების სხდომა შენობის შეკეთების დასრულების შემდეგ. დამფუძნებელმა კრებამ მიიღო აგრეთვე დეკრეტი დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის განკარგულებისათვის 3 მილ. მან. გადადების შესახებ.

---

# უცხოეთი

(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)

**იტალიანური ლიგის განყოფილება.**

იტალიის და ევროპის სხვა სახელმწიფოთა ზოგიერთ ქალაქებში ეროვნულ ინტერესების დამცველი იტალიანურ ლიგის განყოფილებები დაარსდა. ლიგის მიზანია: იტალიის ინტერესების დაცვა, კომერციულ დამოკიდებულების გაადვილება იტალიასთან და დასასრულ ყველა იმ სასიცოცხლო საკითხების გამორკვევა, რომლებიც იტალიას ეხება.

**არჩევნები საბერძნეთში.**

„ჟურნალ დ. ორიენტი" საბერძნეთის მომავალი არჩევნების შესახებ ცნობას იძლევა. ვენიზელოსმა გადაწყვიტა მიიღოს არჩევნებში აქტიური მონაწილეობა. ამიტომ მან განიზრახა საბერძნეთის ქალაქების შემოვლა. საერთოდ საბერძნეთი ცოცხლად გამოეხმაურა საარჩევნო კომპანიას. ათინაში სოციალისტების საარჩევნო მანიფესტაცია მოხდა. მანიფესტაცია წესიერად ჩატარდა.

„ბოსფორი" იუწყება: მუშათა წრეებს განზრახული აქვთ ვენიზელოსის გადაყენება და ახალ კაბინეტის შედგენა. ათინაში გამოიცა ბრძანება რომლის ძალითაც მანიფესტაციის მოწყობის მსურველებმა ამის შესახებ პოლიციას წინა დღით უნდა განუცხადონ.

„ჟურნალ დ' ორიენტი" იუწყება: ოქტომბრის 5 ოპოზიციის აღმასრულებელმა კომიტეტმა მთავრობის უკანონო მოქმედების გამო, რომელსაც იგი არჩევნებში იჩენს, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენლებს საპროტესტო ნოტა წარუდგინესო. ამ ნოტის ასლები იტალიის და ამერიკის წარმომადგენლებს გადაეცა. „ბოსფორი" ახასიათებს რა მომავალ არჩევნებს, სწერს, რომ იგი მშვიდათ ჩატარდებაო. მთავრობა არჩევნების წესიერად ჩასატარებლად ყოველივე ზომებს ღებულობს.

**ჩიჩერინის დეპეშა**

ჩიჩერინის მიერ ლიტვინოვის მიმართ გაგზავნილი რადიო დეპეშაში ნათქვამია: „თუ ლოიდ-ჯორჯმა შესწყვიტა რუსეთთან პოლიტიკური მოლაპარაკება, მან აზიაში ინგლისის წინააღმდეგ დაწყებულ მოძრაობის პასუხისმგებლობა თავის თავზე უნდა მიიღოსო.

**ყუმბარების გადაგდება.**

ქალაქის შუაგულში უცნობმა პირებმა ყუმბარა ისროლეს. ამის გამო დაატუსაღეს მრავალი პირი. სხვათა შორის დაატუსაღეს 16 რუსი, რომელთაც ყალბი პასპორტები და დიდძალი თანხები აღმოაჩნდათ. ბოროტ-მოქმედთ აღმოაჩნდათ აგრეთვე მოწმობები, რომლებიც მათ ბოლშევიკებთან კავშირის ქონას ამტკიცებს. პრესა ფიქრობს, რომ იტალიის ქალაქებში რუს ბოლშევიკებს იტალიის მოღვაწეთა მოსასპობად ტერორისტთა ჯგუფები აქვთ დაარსებულიო.

**მთელი ქვეყნის სავაჭრო ფლოტი**

თანახმად ლოიდ რეჯისტერის ცნობისა 1914 წლ. ივნისის 31 მთელი ქვეყნის სავაჭრო ფლოტის წყალწყვა 45,404,000 ტონს უდრიდა. 1920 წ. ივნისის 3 კი 53,905,000 ტონს. ამ რიგად ომის განმავლობაში ფლოტის წყალწყვა 19% გაიზარდა. აღნიშნულ დროს განმავლობაში გერმანიამ დაკარგა 4,716,000 ტონი, ავსტრო-უნგრეთმა 1,052 ათასი ტონი, დიდმა ბრიტანეთმა 781,000 ტონი, საბერძნეთმა 32000 ტონი, დანიამ 51000 ტონი და შვეციამ 19030 ტონი. ამერიკის ფლოტი გაძლიერდა 10,379,000 ტონით, იაპონიის 1,288,000 ტონით, საფრანგეთის 1,041,000 ტონით, იტალიის 688,000 ტონით, გოლანდიის 301,000 ტონით, ისპანიის 53,000 ტონით და ნორვეგიის 23,000 ტონით. ომამდე უძლიერესი სავაჭრო ფლოტი ჰქონდა ინგლისს. მისი ფლოტის წყალ- 20,524,000 ტონს უდრიდა, რაც მთელი ქვეყნის წყალწყვას 4,5% შეადგენდა. ამ ჟამად ინგლისის სავაჭრო ფლოტის წყალწყვა 20,143,000 ტონს უდრის, რაც მთელი ქვეყნის წყალწყვის მხოლოდ 37% შეადგენს. ამერიკის სავაჭრო ფლოტი აღნიშნულ ექვსი წლის განმავლობაში ექვსჯერ გაიზარდა, იყო 2,027,000 ტონი, ამჟამად კი 12,406,000 ტონს უდრის.

(გაზეთებიდან.)

**მდგომარეობა ირლანდიაში.**

პარიზის გაზეთ „ჟურნალის" ცნობით ბელფასტში აგვისტოს დამლევს დიდ სამოქალაქო ომს ჰქონდა ადგილი. ქუჩებში ტყვია-ზარბაზნის ჭექა-ქუხილი გაისმოდა. მოკლულ იქმნა 18 კაცი. დასჭრეს—200. არეულობა გამოწვეული ყოფილა პურის კრიზისის გამო.

**სომხეთის კოალიციური მთავრობა.**

კონსტანტინოპოლის გაზეთის, ცნობით ხატისოვის ინგლისში ყოფნის დროს ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს წინადადება მიუცია რომ სომხეთმა რაც შეიძლება მალე შეადგინოს კოალიციური მთავრობა, სადაც ყველა სომხეთის პოლიტიკური პარტიები შეერთებული იქნებაო.

**ნური-ფაშის ბედი.**

ტრაპეზუნდიდან იტყობინებიან, რომ ნური-ფაშა, რომელსაც სამშობლოს წინაშე ღალატი ბრალდება ერზრუმიდან ანგორაში არის გაგზავნილი, სადაც იგი გადაეცემა სამხედრო სასამართლოს.

---

# სომხეთში

სომხეთის ეროვნულმა საბჭომ სომხეთის დიპლომატიურ საბჭოს წარუდგინა თავის და საქართველოში მყოფ სომეხთა სხვა და სხვა ორგანიზაციების პროტესტი თათართა შემოსევის გამო სომხეთის სახელმწიფოზე. ეროვნული საბჭო მზათ არის ყველა თავისი მატერიალური, ფიზიკური და სულიერი ძალით დაეხმაროს სომხეთის მთავრობას. ამის საპასუხოდ ეროვნულ საბჭოს ღრმა მადლობა გამოეცხადა.

---

# ახალი ამბები

✦ **ინგლისი და საქართველო.** ამიერ კავკასიაში მყოფმა ბრიტანეთის უმაღლესმა კომისარმა პოლკოვნიკმა სტოქსმა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას შემდეგი მისალმებით მიმართა: იმ დროს, როცა ქართველი ხალხი დღესასწაულობს მცხეთობას ნება მიბოძეთ მოგილოცოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, და გულწრფელად ვუსურვო ქართველ ხალხს კეთილი დღეობა და ბედნიერება. 1920 წელი. ოქტ. 14.

✦ **ქალაქთა კავშირში.** ქალაქთა კავშირის კომიტეტმა გადასწყვიტა ოქტომბრის 26-თვის მოიწვიოს საგანგებო სხდომა იმ საკითხის გამოსარკვევად იარსებოს თუ არა მომავალში გაგრის ქალაქის თვითმართველობამ.

✦ **ქალაქის მცხოვრებლების აღწერა.** სტატისტიკურ საბჭოს მიერ არჩეული კომისია შეუდგა რესპუბლიკის ქალაქთა მცხოვრებლების და სასოფლო სამეურნეო აღწერის გეგმის დამუშავებას. თანახმად გეგმისა განზრახულია ქალაქთა მცხოვრებლების ერთი დღის განმავლობაში აღწერა. აღწერის გეგმის პროექტი განსახილველად სტატისტიკოსთა მომავალ ყრილობას გადაეცემა. აღწერის კომისიაში შედიან: ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის თავმჯდომარე, სპეციალისტი სტატისტიკოსები და ქალაქთა თვითმართველობების წარმომადგენელნი, კომისიას უფლება ეძლევა საჭირო პირთა მოწვევისა კოოპტაციის საშუალებით.

✦ **ტერმინოლოგიის შესამუშავებლად:** საქართველოს ტეხნიკური საზოგადოების გამგეობა სთხოვს დაწესებულებებს და კერძო პირთ მიაწოდონ მათთვის საჭირო, მხოლოდ ტეხნიკურ ლექსიკონში გამოტოვებულ ტერმინთა სია შემდეგი მისამართით: ტფილისი, დიდი მთავრის ქ. № 70, ვ. კაკაბაძეს. სასურველია შეძლებისამებრ ტერმინებს მიეწეროს ამ ჟამად ხმარებული მათი ეკვივალენტები.

✦ **ჟურნალ „ჯეჯილი".** გამოვიდა ჟურნ. „ჯეჯილი" მე-5 № (მაისი, ივნისი, ივლისი). რედაქცია აცხადებს, რომ შემდეგი ნომერი მხოლოდ იმათ გაეგზავნებათ, ვინც დამატებით 400 მან. მიაწოდებს რედაქციას, რადგანაც თუმანში ქაღალდის და დაბეჭვდის ზღაპრულ სიძვირის გამო ჟურნალის მიწოდება შეუძლებლათ მიაჩნია.

✦ **„განათლების" საზოგადოება** თავის სამხატვრო სახელოსნოს სასწავლებლის სასარგებლოთ, რომელიც უსახსრობით განსაცდელშია, მართავს ხუთშაბათს, 21 ოქტომბერს, ყულაბებით ფულის შეგროვებას. ტფილისის საზოგადოება არა ერთხელ დასწრებია ამ სასწავლებლის გამოფენას და იმედია თანაგრძნობას აღმოუჩენს.

✦ **დაპატიმრება.** საგანგებო რაზმის უფროსმა კედიამ დააპატიმრა მთიულეთის ყოფილი მთავრობის თავმჯდომარე ფშემახოკოცევი. გაჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა სამი მილიონი მანეთი დონის ფული და სხვა დოკუმენტები.

✦ **სახელმწიფო კონტროლში.** სახელმწიფო კონტროლიორის მოვალეობის აღმასრულებელი კ. ე. ანდრონიკაშვილი. მთხოვნელებს იღებს მხოლოდ ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით 12—1 საათამდის.

✦ **ტარიფი მარგანეცზე.** მთავრობამ ოქტომბრ 12 სხდომაზე გზათა მიმოსვლის დეპარტამენტის დირექტორის მოხსენების მოსმენის შემდეგ დაადგინა: გადიდდეს ჭიათურის მარგანეცის გადასატანი ტარიფი ოთხჯერ, ესე იგი არსებულ 10 მან. და 70 კაპ. მაგივრად დაწესდეს 43 მან. ფოთამდე და ბათომამდე წინააღმდეგ 11 მან. 37 კ. და წესდეს 46 მან. ახალი ტარიფი ძალაში ოქტ. 18-დან შედის.

✦ **ვლ. მგელაძის დაბრუნება.** სვანეთში მოგზაურობიდან დაბრუნდა დამფუძნებელი კრების წევრი ვლასა მგელაძე, რომელმაც მოიარა მთელი სვანეთი, დაჰყო ორბელში, ცაგერში, მესტიაში, ცხმარში და პაიში. ვლასა მგელაძე იყო აგრეთვე სამეგრელოში. ყველა ჩამოთვლილ ადგილებში იგი მართავდა მიტინგებს და საუბარს ადგილობრივ მცხოვრებლებთან.

**„ახალი სხივის" რედაქციამ** კაუცკის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „ს. დ. ოპოზიციონური ორგანო „ახალი სხივი" ამხანაგურად მიესალმება თქვენი დაბადების დღეს და გისურვებთ თქვენ, დამსახურებულ მასწავლებელს დიდხანს სიცოცხლეს და ჯანმრთელობას მსოფლიო პროლეტარიატის სასარგებლოდ.

---

# ფინანსიურ-ეკონომიური ცხოვრება

**სავაჭრო დამოკიდებულება საქართველოსა და საფრანგეთის შორის.**

ერობათა კავშირის კომიტეტმა საფრანგეთის ერთ-ერთ მსხვილ სავაჭრო ფირმის წინადადებაზე, რომ იგი საქართველოსა და საფრანგეთს შორის უშუალო სავაჭრო დამოკიდებულებას მოაწყობს, პარიზში გააგზავნა ნიმუში იმ საქონლისა, რომლებიც ეროპათა კავშირს სჭირდება. ამასთანავე თან დართულია ერობათა კავშირის შემდეგი განცხადება: 1) ერობათა კავშირის კომიტეტი თანხმდება საქონლის გაცვლა-გამოცვლის მოწყობაზე იმ შემთხვევაში, თუ ფული გადახდილი იქნება საქართველოს სახელმწიფო ბანკის საშუალებით, რომელსაც კომიტეტი ჩააბარებს ნედლ მასალას პარიზს გასაგზავნად სავაჭრო ფირმის მისამართზე; 2) ყოველ თვიური საჭიროება მანუფაქტურისა დაახლოებით 300—500,000 ფრანკის ღირებულებას უდრის.

**კანონი თამბაქოს შესახებ.**

ფინანსთა სამინისტროს სააქციზო სამართველო იმუშავებს პროექტს თამბაქოს ნაწარმოებზე სააქციზო გადასახადის დაწესების შესახებ. არის პროექტის ორი ვარიანტი: 1) თამბაქოს ნაწარმოებზე აქციზის ფაბრიკაში შემოსულ ფურცლოვან თამბაქოს წონის მიხედვით დაწესება და 2) დაწესება ბანდეროლის სისტემისა. ეს კანონ-პროექტი განსახილველად უახლოეს დღეებში ფინანსთა მინისტრის საბჭოს გადაეცემა.

---

# ხელოვნება

**სადრამო სეზონის გახსნა.**

15-ს ოქტომბერს მეორე სახელმწიფო თეატრში გაიხსნა სადრამო სეზონი. ქართულ დრამას საუკეთესო ბინა მიეცა. მშვენივრად მოწყობილი ყოფილ არტისტიულის თეატრი კარგს პირობებს იძლევა რომ საქმე სერიოზულად მოეწყოს.

სეზონი შალვა დადიანის პიესით „გუშინდელნი"-თ დაიწყეს. შალვა დადიანის პიესა არც კომედიაა, არც დრამა. ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ „გუშინდელნი" არ არის პიესა. ეს უფრო პატარ-პატარა სცენებია. ეპიზოდიური ელემენტები გამოყვანილი, ზოგიერთ დამხასიათებელი პირებით. ავტორს მეტის მეტი სალებავები უხმარია ზოგიერთ ადგილს და შარჟში ჩავარდნილა. ამ პიესით სეზონის გახსნა ჩვენ შეცდომად მიგვაჩნია. უფრო რთული და შინაარსიანი პიესა რომ დაედგათ დასის ავკარგიანობა ნათელი იქნებოდა.

შესრულების მხრით—ყველა მსახიობნი კარგად თამაშობდნენ. ანსამბლი საუკეთესო იყო. აღსანიშნავია მ. გელოვანი (თავადი). გელოვანი კარგი მსახიობია. ამპლუა artist caracter საუკეთესო განსახიერებას პოულობს მსახიობის ინდივიდში. ყოველი მისი ფრაზა, ფეხის გადადგმა თუ ჟესტიკულიაცია მეტად დამხასიათებელი იყო.

ასევე ითქმის ქ-ნ ციმაკურიძეზე, ან. ქიქოძეზე აკ. ვასაძეზე და ყველა სხვებზე.

სჩანს მუშაობა. თუ ასეთი მწყობრი ანსამბლით დაიწყეს სხვა პიესებიც ქართული დრამა თანდათან წარმატებისკენ წავა. საჭიროა მხოლოდ რეპერტუარის შერჩევა. უკვე გამოცხადებულ რეპერტუარში ბევრი უვარგისი და თავიდან მოსაშორებელი პიესებია. თეატრის სულის ჩამდგმელი, რეპერტუარია. კარგ რეპერტუარს დიდი მნიშვნელობაც აქვს მსახიობისათვის. ჯერ-ჯერობით ამ ერთ წარმოდგენით გადამწყვეტ აზრს ვერაფერს ვიტყვით. შემდეგი წარმოდგენები დაამტკიცებს ქართულ დრამის ამპლიტუდას. გვინდა დავიჯეროთ რომ იმედები გამართლდება და კვლავინდებურად საქმე აღარ დაიშლება. ჩვენ ვუსურვებთ ქართულ დრამას სრულ გამარჯვებას.

ვ. ზ.

---

# სენატი

საქართველოს სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტის განყოფილების 1920 წლის ოქტომბრის 20 დღეს სხდომაზე დანიშნულია განსახილველად შემდეგი საქმეები:

(სხდომის გახსნა დილის 10 საათზე).

1. საჩივარი მეტეხის ციხის პატიმრების: ერმინე რომენიასი, ალექსანდრე მგელაძის და ისაკ ქვანიასი შინაგან საქმეთა მინისტრის მოქმედებაზე—შესახებ მათი დაპატიმრებისა.
2. საჩივარი სავაჭრო სახლი „ფრიდონოვი და კომ." რწმუნებულის ნაფ. ვექ. იოანისიანისა ბოისოგოლოვის ჩასახლების შესახებ.
3. საჩივარი ივანე გალუსტიანისა სადგომის გაცვლის შესახებ, მაღაზიის საჭიროებისათვის.
4. საჩივარი სილიბისტრო ლორთქიფანიძის და ვლადიმერ ავალიანისა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგის განკარგულებაზე სასტუმრო „უნივერსალის" დაცლის შესახებ.
5. საჩივარი იაკობ ციტრინისა ტფილისის ქალაქის გამგეობასთან ბინის რეკვიზიციის შესახებ დიდხურაბოვისთვის.

---

# პროვინციის ცხოვრება

**ლანჩხუთი.**

დასრულდა და მოქმედება დაიწყო ქალაქის ელექტრიულმა სადგურმა და ქალაქის ელექტრიულმა წისქვილმა. თავდება აგრეთვე მუშაობა ქალაქის ხერხის ქარხნის მოწყობისა. ქალაქი თავის ხარჯზე მცხოვრებთათვის კინემატოგრაფს აწყობს.

**სიღნაღი.**

სიღნაღის სამაზრო ერობის თვითმართველობამ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართა თხოვნით რათა მან მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა იმ მიზნით, რომ სიღნაღის ერობას სესხის სახით მისცენ 15 მილიონი. ამ ფულით ერობა დაეხმარება სიღნაღის მაზრის მცხოვრებთ, რომელნიც სტიქიურ მოვლენათაგან დაზარალდენ.

**ახალციხე.**

ამ დღეებში მოქმედებას დაიწყებს სახერხი ქარხანა, რომელიც ახალციხის ერობამ 1,800.000 მ. შეიძინა.

— სამაზრო ერობა საკუთარ შენობაში გადადის. ამ შენობაში, რომელიც 3 სართულისაგან შესდგება, იქნება აგრეთვე ერობის ცენტრალური საწყობები და საზეინკლო სახელოსნო. ერობას სურს საბოლოოდ მოაწყოს ნორმალური მიმოსვლა ბორჯომ-ახალციხე-აბასთუმნის შარა გზით.

---

# ფოსტა-ტელეგრაფში

**სია ჩაუბარებელი დეპეშებისა 14 ოქტომბერს.**

სალოღლიდან ყიფიანს; ბათომიდან წყალაშვილს, თვალჭრელიძეს, ტოკკოს და კიზირიას; ქუთაისიდან იაგორ ფოცხვერაშვილს, ცინცაძეს და იაკობაშვილს; ჭრებალოდან კლიუევს; გუმბრიდან ტარუნოვს; დნიდან სახელს; ყარაიზიდან დერმაშვილს; წალვერიდან ბოლქვაძეს; არდაგანიდან მაისურაძეს; მცხეთიდან ავეტისოვს; ახალქალაქიდ ნ მიქელაძეს; ყარსიდან ორბელიანს; ჩოხატაურიდან თავართქილაძეს; დიდი ჯიხაიშიდან კოხრეიძესთან და სანაინიდან ამბარცუმოვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მილიციაში

15 ივნისს ამა წელს, მელიქ ივანეს ძე ტერ-გრიგუროვმა განაცხადა სისხლის სამართლის მილიციაში, რომ მის ბინიდან გაიტაცეს 50 ათასი მან. ღირებული ნივთები. სისხლის სამართლის მილიციის მიღებულ ზომებით ტერ-გრიქუროვის ქურდი აღმოჩნდა და პასუხისგებაში იქნა მიცემული.

— 13 აგვისტოს, ლევან იაკიმეს ძე რაშმაგიანის ბინიდან გაიტაცეს ოქრო და ბრილიანტები ღირებულებით 275000 მან. სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო ამ ნივთების გამტაცებელი და ზემოხსენებულ პირს გადასცა კუთვნილებისამებრ ყველა დაკარგული ნივთები.

— ცენტრო საწყობის გამგემ არამ დარჩიას ძე ნიკოგოსოვმა სისხლის სამართლის მილიციაში განაცხადა, რომ აღნიშნულ საწყობში შემჩნეულია სისტემატიური ქურდობა. სისხლის სამართლის მილიციამ საქმის გამოძიების შემდეგ შეიპყრო სამხედრო საწყობის გამგის თანაშემწე ნიკ. ივ. მშვენიერიძე და ამავე საწყობის მომუშავე ქალი პელაგია მაღლაკელიძე, რომელთა ბინაზედაც აღმოჩნდა გაქურდული ნივთები.

## განცხადებანი

დაიკარგა სამსახურის ნუსხა № 1169 ივანე დარისპანის ძე საყვარელიძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3170 3—2

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა, პასპორტი და ორი ერთდროული ბილეთები სისო დიმიტრის ძე ფხაკაძის სახელზე, ივანე ოქროპირის ძე ვაშაკიძის მინდობილობა და პასპორტი სოფიო საბას ასული ფხაკაძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3151 3—2

დაიკარგა პასპორტი № 5287 ნიკოლოზ გაბატაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3154 3—2

დაიკარგა პასპორტი № 5418 ანა გრიბენიკოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3155 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ნიკოლოზ მიხეილის ძე სანჟარაძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3156 3—2

დაიკარგა პასპორტი № 7639 გალუსტა ვოსკანის ძე შახნაზაროვის სახელზე, გაუქმებულა დჩაითვალოს. 3157 3—2

დაიკარგა საოჯახო პასპორტი მაშადი მიკაილ მირზა გაჯი ოღლი მირზოევის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3613 3—2

დაიკარგა ჯარში გასაწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 3550 ნიკოლოზ ანდრიას ძე კაციტაძის სახელზე მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3165 3—2

დაიკარგა პასპორტა ოსმან მამედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3166 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი სტეფანე მიხეილის ძე აბესალომოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3167 3—2

დაიკარგა ასიგნობის ტალონი № 4867 812 მან. და 60 კ.—ს. ელექტრონის სადგურის „სირიუსის" მეპატრონეს სიმონ ზაქარიას ძე ტომაშევის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის თვითმართველობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3169 3—2

დაიკარგა 6 კლასის ატესტატი და 8 კლასის მოწმობა, მიღებული ქალთა საეპარქიო სასწავლებლიდან და მეტრიკული ამონაწერი ანასტასია მაქსიმეს ასული კახიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3129 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი იუშაჯ შალომის ძე ტეცოშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3106 3—3

დაიკარგა პასპორტი № 25270 ლიდა პავლეს ასული დორუნოვას სახელზე, მიღებული კავკასიის საოლქო შტაბიდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3109 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 361 მათე დიომიდის ძე პოლიშჩუკის სახელზე, მიღებული ვარშავაში მესამე უბნის საბოქაულოდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს 3095 3—3

დაიკარგა ტფ. საადგილ მამულო ბანკის საგირაო ფურცლები და საწინდარი მოწმობა მიცემული დავით გრიგორის ძე ტერ-სააკოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3094 3—3

დაიკარგა რესპუბლიკის ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისგან მიცემული წიგნაკი № 8095, უფროს ლეიტენანტ სარალიძი სახელზე. გაუქმებ. ჩაითვლება. 3131 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი პროსკოვიეგორის ასული კლიმენტიევის სახელზე, მიღებული ტფ. მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3136 3—3

დაიკარგა ატესტატი და მოწმობა ტფილისის რეალური სასწავლებლის კურსის დამთავრების კონსტანტინე პეტრეს ძე დმიტრიევის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3130 3—3

დაიკარგა პასპორტი № 7517 კონსტანტინე პეტრეს ძე დმიტრიევის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3121 3—3

დაიკარგა პასპორტი მარიამ მიხეილის ასული ბარჟიცკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3119 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი მირალი აბდულაევის სახელზე, დამტკიცებული ტფ. ოლქ. სასამართლოს უფრ. ნოტარიუსის მიერ 1917 წ. რეესტრით № 2662. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3110 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3865 არსენ აზროას ძე პეტროსოვის სახელზე, მიღებული ისპანეთის ვიცე-კონსულისაგან გაუქმებულად ჩაითვალოს. 3168 3—2

სააქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის მეპატრონემ მიხეილ პოპუაშვილმა დაჰკარგა ღვინის ჩამოტანის ნებართვა ამხან. „ერთობასი" მიცემული 28 იანვ. 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვლება. 3116 3—3

ტფილისის არტილერიის საწყობის მუშა-მოსამსახურეთა საქარხნო კომიტეტი ამით აცხადებს საყოველთაოდ რომ ა. წ. 5 ოქტომბერ არსენალის ბაქანზედ (ტუპიკში) არტილერიის საწყობის სახელზედ მოვიდა ერთი ვაგონი რომელშიაც აღმოჩნდა 110 ტომარა კარტოფილი რადგანაც კარტოფილი ფუჭდება 13 ოქტომბრიდან სამი დღის განმავლობაში გვაცნობოს პატრონმა და წარმოადგინოს ყველა დამამტკიცებელი საბუთები. წინააღმდეგ შემთხვევაში ნახსენები კარტოფილი იქნება განაწილებული საწყობის მუშა-მოსამსახურეთა შორის.

**საქარხნო კომიტეტი.**

3107 3—3

დაიკარგა ტფ. პირველ კერძო ლომბარდის ბილეთი № 88557 10,000 მან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3114 3—3

სააქციზო სამმართველო ამით აცხადებს რომ ნიკოლოზ ზაქარიას ძე მდივანოვმა დაჰკარგა ოქმი არყის გამოსახდელი ქვაბის ზომისა, 19 ოქტ. 1909 წლ. № 30, რომელიც გაუქმებულად ჩაითვლება. 3134 3—3

დაიკარგა წიგნაკი ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოებისა, № 8707, ლეიტენანტ მიხეილ ანანიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვლება. 3128 3—3

დაიკარგა პასპორტი ალი ნაგი მამედ ჯაფარ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3143 3—2.

დაიკარგა პასპორტი ბეგრამ მურზალი ოღლის სახელზე, მიღებული აგდაშიდან, ბაქოს გუბერნია გაუქმებულად ჩაითვალოს. 3264 3—2

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა № 78 ვასილი გიორგის ძე ჩახავას სახელზე, მიღებული ტფ. ვაჟთა მეხუთე გიმნაზიიდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3144 3—2

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან, ძველი ნივთებით ვაჭრობის ნებართვა, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან და ხუთი ფუთი ხორბლის დუბლიკატი ნერსეს გრიგოლის ძე პოგოსოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3145 3—2

დაიკარგა პასპორტი № 1236 ვერა სტეფანეს ასული სალიფოვის სახელზე, მიღებული ბათომის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3139 3—2

დაიკარგა საბინაო დავთარი, სამოვოლნი ქუჩაზე მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის ერმილე ნეფარიძეს. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3142 3—2

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 139412 კაპიტონ პეტრეს ძე ქიტუანის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3153 3—2

სააქციზო სამართველო ამით აცხადებს, რომ ღვინის სარდაფის პატრონს სტეფანე ხაჩატუროვს დაუკარგავს ღვინის შეძენის ნებართვა მიცემული სააქციზო სამართველოს მიერ 1920 წლ. 18 მარტს № 1445. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3127 3—2

დაიკარგა პასპორტი მაშადი იაკუბ გაჯი ალიევის სახელზე, მიღებული განჯაში, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3111 3—2

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნე-მეტყველობის ფაქულტეტიდან მიღებული მატრიკული გრიგოლ დიმიტრის ძე ჭანიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. (უფ.) 1—1

დაიკარგა ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნე მეტყველების ფაკულტეტიდან მიღებული მატრიკული გრიგოლ ჭანიშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 1—1 (უფ.)

დაიკარგა ანდერძის ასლი რომელიც 2 მარტს, 1905 წელს, რეესტრის № 1226, შედგენილი იყო ნიკოლოზ არდჟევანიძის კარსანოვის სახელზე ტფილისის ნოტარიუს გრიგორიევის მიერ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3181 3—1

დაიკარგა ატესტატი ტფ. 1 ვაჟთა გიმნაზიის კურს დამთავრების 1915 წ. ალექსი უსტიაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3188 3—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი ნიკოლოზ კარაპეტის ძე არაქელოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3189 3—1

დაიკარგა სამხედრო ნუსხა, მიღებული სენაკის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან და მოწმობა 74 სტავროპოლის პოლკიდან თეოფილე სოლომონის ძე მიქიაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3171 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სატენიკ ჯაგინოვის სახელზე, მიღებული სომხების ნაციონალურ საბჭოდან და პაპიროსი ვაჭრობის ნებართვა სერგო ჯაგინოვის სახელზე, მიღებული ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3172 3—1

დაიკარგა მოწმობა, მიღებული სერბიის კავკასიის მისიიდან და ჟურნალისტთა პროფესიონალურ კავშირის ბილეთი გერმან ტეილბერგის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3178 3—1

დაიკარგა პასპორტი № 344 ნიკო ასლამაზაშვილის სახელზე, მიღებული პეტროგრადის პოლიციიდან 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3174 3—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავისუფლების მოწმობა როსოვის სახელზე, მიღებული სიღნაღის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3179 3—1

დაიკარგა პასპორტი ეკატერინე ტატიშვილის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3180 3—1

დაიკარგა პასპორტი № 4119 ანა ნიკოლოზის ასული გორლინის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან 1918 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3186 3—1

დაიკარგა მოწმობა № 220 რუბენ ბარსეგის ძე პირკულიანის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიტექნიკური სასწავლებლიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3187 3—1.

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა „9" ივნისს 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 7 ოქტომბრის 1919 წ. ზაქარია ბარქარის ძე გევორგოვის ნოტარ სას. ანდერძ. დამტკ. შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნას. 2277. 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა „30" აპრილის 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 26 აპრილს 1919 წ. ივანე ბოგდანოვი ძე ყორღანოვის ნოტარ. სას. ანდერძის დამტკიცების. შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნეს. 2862 1—1

ტფილისის საოლქო სასამართლომ მოისმინა რა „10" ოქტომბ. 1920 წ. საქმე გარდაცვალებულ 18 ივლისის 1919 წ. კეკელა ვალერიანის ასულის მირაქოვის ნოტარიალურ სასულიერო ანდერძის დამტკიცების შესახებ დაადგინა: სისრულეში მოყვანილ იქმნეს. 2980 1—1

დაიკარგა დამფუძნებელ კრების წევრობის მოწმობა სურათით, რკინის გზის დღიური ბილეთი და „ნაგანის" სისტემის რევოლვერი № 21260 ტარების ნებართვა თეიმურაზ სტეფანეს ძე ჭელიძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3211 3—1

ბათომის უბნის სამომრიგებლო სასამართლოს ბოქაული ვ. ჩიტია აცხადებს, რომ 26 ოქტომბრის 1920 წელს 10 საათზე დილით დაბა ქობულეთში, ყემბერ ალა ხარაზის შენობაში, გაიყიდება საჯარო ვაჭრობით გაბრიელო მაქსიმეს ძე შოშიტაიშვილისა, მოძრავი ქონება რომელიც შეიცავს უფლებას ნახევარი ნაწილისას შემდეგი დგამისა: დახლის შკაფის, თუჯის პლიტის, მაგიდის, სელის და ტაბურეტკა სკამების და სხ., დაფასებულის 47505 მანეთად, და რომელიც აღწერილია დასაკმაყოფილებლად არსენ შოშიტაიშვილისა 63000 მანეთის ჯამში %, თანახმად აღსრულებითი ფურცლებისა ბათომის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა 7 ოქტომბრის 1920 წ. თარიღით №№ 295 და 296. 3183 1—1

ქ. ტფილისის მე-2 უბნის მომრიგებელი მოსამართლე აცხადებს, რომ დღიდან ამა განცხადებისა ექვსი თვის განმავლობაში მასთან უნდა გამოცხადდეს ვასილი აბრამის ძე მაისურაძე ანუ მისი ვექილი საპასუხოთ რადგან მის წინააღმდეგ აღძრულია ნადეჟდა ნიკოლოზის ასული არგუტინსკი-დოლგორუკოვას მიერ სარჩელი 1509 მან. (ათას ხუთას ცხრა) მ. გადახდის შესახებ; ამასთანავე აფრთხილებს მოპასუხეს, რომ თუ ვინიცობაა იგი არ გამოცხადდა და არც წერილობითი პასუხი წარადგინა, მოჩივარის თხოვნით სხდომა იქნება დანიშნული და დაუსწრებელის განაჩენს დაადგენს სასამართლო. 3182 1—1

## ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,

რომ მის მხრივ დანიშნულია კვირას, 17 ღვინობისთვეს 1 საათზე

**საჯარო ვაჭრობა ორი ცხენის გაყიდვაზე.**

947 ქალაქის ცეიხგაუზში, მადათოვის კუნძულზე. 1—1

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. აღმ. გრიგოლ მაჭავარიანი.